ცნობის ფურცელი

VI Წ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1901 ᲙᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 30 ᲛᲐᲠᲢᲘ № 1424

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო- კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა მოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარ 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

რედაქციისაგან

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ხელის მწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია კვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ ლიური ფასი—შემოსატანის მეორე ნაწი- ი წარუდგინონ რედაქციას პირველ აპრი- ამე; წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია 0 აპრილიდან აღარ გაუგზავნის გაზეთს.

მთავრობის განკარგულებანი

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ ოთხშაბათს, 4 აპრილს, ქართველ ავად-აზნაურთა თეატრში გაიმართება ქარ- ული წარმოდგენა ბ. ვლ. ალექსი-მესხი, ვილის და ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, ალიდგმება „ედმონდ კინი“. შემოსავალი ადაიდგ ა „ნაძალადევში“ განზრახულ სა- კითხველოსათვის და ავჭალის ქუჩაზე არ- ებულ სახალხო სახლისათვის.

✦ ოთხშაბათს, 4 აპრილს, მოხდება სხდო- ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსი, რომელზედაც უნდა განიხი- ლონ ტფილისის ქალაქის საბჭოს უკანასკნე- ლი დადგენილება ქალაქის ხმოსანთა არჩევ- ნების შესახებ.

✦ რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნო- ბის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ 1900 წლის გამოფენაზე მეურნეობის საუ- კეთესო ნაწარმოებთა წარდგენისთვის დაა- საჩუქრა შემდეგი პირები კარგის თვისების ღვინის დაყენებისათვის: დ. საჩხერის მცხოვ. თავ. ბ. დ. წერეთელი, დ. ზესტაფონის მც. ა. ჭუმბურიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი; დაბა ონის მაზ., რაჭის მც. გიორგობიანი, ქ. ბათუმისა—ე. ს გიგაშვილი; დ. ზუგდიდი- სა ო. მ. ჟორდანია აბრეშუმის ნაწარმოებ- თათვის, საუკეთესოდ დამზადებულ ხილის გამოფენისათვის პ. გ. დანელია, ქ. ართვი- ნისა—ტაბახიძე-მუზამედ-აღა; კარგის ბოს- ტნეულობისათვის ილორის სოფლის სასწა- ვლებელი (სენაკის მაზრა), ბათუმის ქალაქის სასწავლებელი, გორის მაზრის სოფ. ხოვ- ლეს მცხ. თავ. ჯავახიშვილი; თამბაქოსათ- ვის ოზურგეთის მაზრის ს.მც. ხიდისთავის, ს. გ. ბერიძე, საუკეთესო წმინდა სანთლის და- მზადებისათვის ი. ო. ფურცხვანიძე (საკუ- თარი ქარხანა ძ. ქუთაისში).

✦ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გა- მოფენის მომწყობელმა კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს კავკასიის სამეურნეო საზოგადო- ებას, რომ წინადადება მისცეს ამიერ კავკა- სიის რკინის გზის სამმართველოს მონაწილე- ობა მიიღოს მომავალ გამოფენაში.

✦ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტი ბ-ნი როლლოვი დაინიშნა კავ- კასიის სასოფლო მეურნეობის უფროს სპეციალისტად, რომელიც იმოგზაურებს ამიერ კავკასიაში სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად.

✦ ჩვენ მოგვივიდა ხუთი მან. დ. ხონი- დან რაფ. ერისთავის ფონდის გასაძლიერებ- ლად; ეს ფული შეუგროვებიათ ხონის სა- ქალებო პროგიმნაზიის მოწაფეთ.

✦ 13 მარტს დ. საჩხერეში ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიას განუხილავს საქ- მე ჩიხის საზოგადოების სოფლის სკოლის მასწავლებლის ყარამან ჩხეიძისა, რომელ- საც ჰბრალდებოდა დ. საჩხერის ბოქაულად ნამყოფის პოდგორნის შეურაცხების მიყე- ნება, რომელიც იმით გამოიხატა თურმე რომ 1900 წლის 5 თებერვალს ჩხეიძეს მოუჭრია სკოლის ბაღში მისგანვე 20 წლის წინად დარგული ხე, რაზედაც პადგორნის შემდეგ, იქ გავლის დროს, შეუნიშნავს: ვინ მოსჭრა ეს ხეები და ან რა ნება ჰქონდა ამისიო. როცა პასუხი მიუციათ, პადგორ- ნის დაუწყვია ყვირილი—მეშინ გაჩვენებ სეირს და სხვა, რაც ჩხეიძეს გაჰკვირ- ვებია და უქვამს „ჰკუაზე შეიშალეთ. თუ რა არის?“, ვინ გკითხავთ ჩემს საქმეში ჩაე- რიოთო. საქმის გარჩევის დროს ჩხეიძეს განუ- ცხადებია: მე სრულებით პადგორნის შეუ- რაცხება არ მქონია სახეში და ჩემის სიტყვების წარმოთქმით მხოლოდ ჩემი გაკვირება გამოვხატე იმ გარემოების გამო რომ პოდგორნი არა მკითხესავით ჩემს საქ- მეში ჩაერიაო. ოლქის სასამართლომ ჩხეიძე დამნაშავედ იცნო და გარდაუწყვიტა 5 მანეთით დაჯარიმება.

✦ ს. შულავერში სხვა და სხვა საქმეე- ბის განსახილველად ტფილისის ოლქის სასა- მართლოს ხისხლის სამართლის სესია გაემ- გზავრება 24 აპრილისათვის. სასამართლოს სხდომები 3 მაისამდე გაგრძელდება.

ᲒᲠᲐᲤᲘᲜ. ᲡᲝᲤᲘᲝ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

✦ უწმ. სინოდის ოფიციალურს გაზეთში „ცერკოვნია ვედომოსტი“ დაბეჭდილია გრაფინია ს. ა. ტოლსტოის (ლევ ტოლს- ტოის მეუღლის) წერილი მიტროპოლიტის ანტონის მიმართ და მიტროპოლიტის პა- სუხი ამ წერილზე მიტროპოლიტის ანტონის პასუხი უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდი- ლი (იხ. № 1421). აქ მოგვყავს გრაფინია ტოლსტოის წერილი:

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოე- სობავ! გუშინ წავიკითხე გაზეთებში სინო- დის სასტიკი განაჩენი ჩემის ქმრის, გრაფ ლევ ნიკოლოოზის ძის, ეკკლესიიდან განრ- ინების შესახებ და, ვიხილე რა, რომ სხვა მწყემსმთავართა შორის თქვენც ხელს აწერთ ამ განაჩენს, ვეღარ შევიძელ გავჩუმებული- ყავი. ჩემს მწუხარე განრისხებას საზღვარი არა აქვს. მე ის კი არ მაშფოთებს, რომ ამ ქალალდისაგან სულიერად დაიღუპება ჩემი ქმარი: ეს ადამიანთა ხელთ არ არის, არა- მედ ღვთის ხელშია. ადამიანის სულიერი ცხოვრება სარწმუნოების მხრივ ემორჩილე- ბა მხოლოდ ღვთის განგებასა და ნებას. მაგრამ იმ ეკკლესიის შეხედულობით, რო- მელსაც მე ვეკუთვნი და რომელსაც არა- სოდეს არ გავშორდები, რომელიც ქრის- ტემ დაიწესა და რომელიც ხმამაღლა უნდა აღიარებდეს კანონს სიყვარულისას, პატივე- ბისას, სიყვარულს მტრისადმი და რომელიც ყველასათვის უნდა ლოცულობდეს,—ამ ეკკლესიის შეხედულობით, სინოდის განა- ჩენი გაუგებარია ჩემთვის. ეს განაჩენი გა- მოიწვევს ყველასაგან (გარდა „მოსკოვ. ვე- დომოსტებისა“) არა თანაგრძნობას, არა- მედ განრისხებას, ხოლო ლევ ნიკოლოო- ზისძისადმი დიდ სიყვარულსა და თანაგრძნო- ბას. ჩვენ უკვე ვღებულობთ თანაგრძნობის გამოცხადებას მთელის ქვეყნისაგან და ამგვარ განცხადებათ დასასრული არ ექნება. არ შემიძლია აგრეთვე მწუხარებით არ მოვიხ- სენიო ის უაზრობა, რომლის შესახებ მე წინადაც მქონდა გაგონილი, სახელდობრ, სინოდის საიდუმლო განკარგულება მღვდლე- ბის მიმართ, რომ მათ წესი არ აუგონ ლევ ნიკოლოოზის ძეს, როდესაც იგი გარდაი- ცვლება. ვინ უნდა დასაჯონ ამით? გარდა- ცვალებული, რომელიც არაფერს აღარ ჰგრძნობს, თუ მისი მორწმუნე მახლობელ- ნი? თუ ეს მუქარაა,—კის ან რას ემუქრე- ბა სინოდი? ნუთუ წესის ასაგებლად მე ვერ ვიპოვი რიგიანს მღვდელს, რომელიც არ შეუშინდება ადამიანთა განაჩენს წინაშე ჭეშმარიტის ღვთისა, ან ურიგოს, რომლის მოსყიდვაც შემიძლიან ფულით? მაგრამ ეს ჩემთვის საჭირო არ არის. ეკკლესია ჩემ- თვის განყენებული მცნებაა და მის მსახუ- რად მხოლოდ იმას ვთვლი, რომელსაც ნამდვილად ესმის ეკკლესიის დანიშნულება. ხოლო თუ ეკკლესიად ვცნობთ იმ ადამია- ნთა კრებულს, რომელნიც ბოროტებით აღჭურვილნი ჰკადნიერდებიან და არღვევენ უზენაესს კანონს—ქრისტეს სიყვარულს, მა- შინ ჩვენ, მართლ-მორწმუნენი და ეკკლე- სიაში მლოცველნი, აქამდისვე უარსა ვყოფდით მას. დამნაშავენი ისინი კი არ არიან, ვინც შეცდომით უარჰყო ეკკლესია, არამედ ისინი, რომელთაც ამაყად აღიარეს თავიანთი თავი ეკკლესიის ხელმძღვანელე- ბად; უკანასკნელნი, სიყვარულის, სათნო- ების და მიტევების მაგივრად, შეიქმნენ სუ- ლიერ ჯალათებად მათთვის, ვისაც უფალი უფრო შეუნდობს ცოდვებს, რადგანაც და- ჰგმეს ყოველივე სიკეთე ამა სოფლისა მო- ძმეთა სიყვარულისა და დახმარებისათვის; ამათ უფრო შეუნდობს, ვიდრე იმათ, ვინც შემკულია ბრილიანტით და ვარსკვლავებით მოჭედილ მიტრებით, ე. ი. იმ მწყემსმთა- ვართ, რომლებიც სჯიან და სდევნიან ეკ- კლესიიდან. ჩემი სიტყვების დარღვევა ად- ვილად შეიძლება მხოლოდ პირფერული მოსაზრებით. მაგრამ ღრმა შეგნება ჭეშმა- რიტებისა და ადამიანთა ნამდვილ განზრა- ხვებისა—არავის არ შეაცდენს. 26 თებერ- ვალი 1901 წ.

ᲒᲠᲐᲤᲘᲜᲘᲐ ᲡᲝᲤᲘᲝ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡᲐ

ᲙᲐᲜᲝᲞᲢᲘᲙᲣᲛ.*)

2.

საკვირველი ადამიანია ქართველი თავისის თვისებებით; ახირებულია, იმდენად ახირე- ბული, რომ არც ერთს სხვა ტომის ადამი- ანს არა ჰგავს. პირველს და სხვათაგან გან- მასხვავებელს თვისებას შეადგენს ის, რომ ყოველს ქართველში თითქოს ორი ადამია- ნია: ერთი ის, რომელსაც მისიანებში, ქა- რთველებში, ნახავთ, და მეორე—რომელიც უცხოებთან იჩენს ხოლმე თავს. პირველი— გულადი, თავ-მოყვარე და ყველასი და ყვე- ლაფრის მცოდნეა, მეორე კი—მხდალი, სა- დღაც მიმალული, უცოდინარი და უწყი- ნარი. თავისიანებში ქართველი მეტად ყო- ყოჩია, ცოტა რამეზე იფეთქებს თოფის წამალსავით, კრიტიკოსი ყოველნაირ მოღ- ვაწისა და მოღვაწეობისა, ხოლო სხვისია- ნებში თავმდაბალი, ყველაფრის გამგონი და დამჯერე.

ამას წინად ტფილისში ჩამოვიდა მოსკო- ვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯ- დომარე გრაფინია უვაროვისა. პატივცემუ- ლი გრაფინია აქ ყოფნის დროს დაესწრო, სხვათა შორის, აქაურ არქეოლოგთა კერ- ძო სხდომას. ამ არქეოლოგებს აზრად ჰქო- ნიათ დაარსონ ქ. ტფილისში საარქეოლო- გიო საზოგადოება და სხდომაზედ ლაპარაკი იმის შესახებ ჰქონდათ—დააარსონ მოსკო- ვის საარქეოლოგიო საზოგადოების განყო- ფილება, თუ თავისი საკუთარი და დამოუ- კიდებელი.

როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ან რა ილაპარაკეს ამაზედ,—ჩვენ ამჟამად არ გვე- ინტერესება; ჩვენ გვაინტერესებს სულ სხვა მოვლენა, რომელმაც იჩინა თავი ამ საქმე- ში. ქ. ტფილისში, როგორც უკვე ვიცით, არის რამდენიმე არქეოლოგი ქართველებს შორისაც. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ზემოხსენებულ სხდომაზე უფრო ისინი იქმნებოდნენ მეთაურები და ილაპარაკებდ- ნენ საკამათო საგნის შესახებ. საქმე კი სულ სხვანაირად იყო. ამისთანა დროს თურმე სხვისი ბამბაც ჩხრიალებს და ქართველის კაკალიც კი არა. ქართველებმა თავისი მეო- რე სახე გამოიჩინეს, თავი მოიმკვდარუნეს, ჩუმად ისხდნენ და... უსმენდნენ ტფილის-

*) სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ეს ფელეტონი ვერ დაიბეჭდა გუშინდელ ნომერში.

ში ცნობილს... (მით, რომ საავადმყოფო აქვს) ექიმს. ეს ვაჟბატონი ბევრს და დიდხანს ლაპარაკობდა ამ სხდომაზე შესახებ საექიმო უკაცრავად, „საარქეოლოგიო“, შემცდაო, ბრძანა მან, როდესაც შენიშნეს, ეაექიმო საზოგადოების შესახებ არა გვაქვს ბაასიო) საზოგადოებისა. „მე და გრაფინიამ მოგიწვიეთო“,—სთქვა ერთხელ ამ ვაჟბატონმა; „მე და გრაფინიას გვსურსო“,—სთქვა მან მეორედ... ერთის სიტყვით, პირველი და გამოჩენილი არქეოლოგი ის გეჩვენებოდათ, სხდომას რომ დასწრებოდით... სულ კარგი მაგალითი კი არ არის, მაგრამ კიდევ კარგი იქნებოდა, რომ ცოტათი მაინც გვესწავლა ამ ექიმისაგან, თუ რა არის გამბედაობა. თორემ საარქეოლოგიო საზოგადოებაში ის ექიმი გამოდგა არქეოლოგად და ჩვენი არქეოლოგები კი მას უსმენდნენ.

* * *

როგორც მოგახსენეთ, ასე გაუბედავები და მხდალები ვართ უცხოებთან, მაგრამ ჩვენიანებში რომ გვნახოთ? აქ სულ სხვაა. აბა დამისახელე, მკითხველო, ისეთი ქართველი, რომელიც არ ვარგოდეს ერთდროულად: ბანკის მმართველად, ქალაქის თავად, პუბლიცისტად, მეცნიერად, ტეხნიკად და სხვა. აბა დააკვირდით ჩვენს მრავალგვარ სხდომების წევრებს, ყველგან და ყველაზე თუ ერთ და იმავე პირებს არ ნახავთ. დღეს სხდომაა მომავალ საბჭოს არჩევნების შესახებ, ხვალ ბანკის სხდომა, ზეგ საპედაგოგიო და სხვ. ყველგან დამსწრე წევრები ერთი და იგივენი არიან, ყველგან ერთ და იმავე პირთაგან ირჩევენ გამგეობისა და კომისიების წევრებს. ახლა ყური დაუგდეთ ამ სხდომების „რეჩებსაც“. გუშინ რომ პესტალოცად მოჰქონდა თავი, დღეს დიდი ბანკირია და ხვალ კიდევ გამოჩენილი პუბლიცისტი. გუშინ რომ საქალაქო საქმეების მცოდნე იყო, დღეს საუკეთესო წევრია დრამატიულის საზოგადოების კომიტეტისა და ხვალ კიდევ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა, და ამრიგად ყველანი მრავალმხრივი და გამოჩენილი მოღვაწენი ბრძანდებიან. საუბედუროდ კი ამდენის გამოჩენილის და ყველაფერში და ყველგან გამოსადეგ წევრების მყოლე საზოგადოების საქმეები როგორღაც ვერ მიდიან ისე, როგორც ეს სასურველია.

* * *

არ მიდის კარგად, როგორც ეტყობა, არც სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების დაარსების საქმე. ამის შესახებ დაისტამბა სამიოდ წერილი და ჯერ-ჯერობით საქმე ამით დამთავრდა. გამოითქვა, სხვათა შორის, ის აზრი, რომ ჩვენში ამგვარი საზოგადოება ვერ იხეირებს, რადგან რაცა გვაქვს საზოგადოებები, იმათაც ვერ შეუნახავთ თავიო და იმათ რომ ერთიც ახალი მიუმატოდ, სახსარი საიდგან უნდა გაიჩინოსო. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ამ აზრს. მართალია ყველა ჩვენ საზოგადოებებს ძეტად უძნელდებათ ფულის მოპოება, მაგრამ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას შეუძლია იიმედოვნოს, რომ მას განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს ჩვენი საზოგადოება. მისი დაარსება კი მეტად საჭირო არის არა მარტო მისთვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ სტუდენტობას, არამედ მისთვისაც, რომ ბოლო მოუღოს ისეთს არა სასურველ მოვლენას, როგორიც არის თხოვნა და მოურიდებელი ხელის გაშვერა, რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო მატულობს. დღეა რ გაივლის ისე, რომ კარს არ მოგადგეთ ან კერძო ქველმოქმედი ვინმე, ან თითონ გაჭირებული მოსწავლე, ან რომელიმე ამათაგან მოწერილი ბარათი არ მოგვიდეთ. რაც შეეხება კერძო ქველმოქმედთ, თქვენ ხშირად არ იცნობთ მას და ამიტომ არ იცით, მიეცემა თქვენ მიერ გაღებულ ფულს ის დანიშნულება, რომლისთვისაც გამოგართვეს იგი თუ არა, ხოლო როდესაც თქვენთან მოდის თითონ გაჭირებული, ექვი გებადებათ, სტუდენტია ის, მოსწავლე საზოგადოდ, თუ მოსწავლის სახით შანტაჟისტი ვინმე. მაინც და მაინც სტუდენტიც რომ იყოს, მის მაგიერად თქვენ გრცხვენიათ და ჩქარობთ, რაც შეიძლება მალე მისცეთ ფული და გაისტუმროთ. გრცხვენიათ, რადგან თუმცა სწავლისათვის, ასეთის მაღალისა და კეთილის სურვილის მისაღწევად, სჭირია და თხოულობს ფულს, მაგრამ ხელის გაშვერა და თხოვნა თქვენს თვალში ამცირებს მას. აი ამგვარ ხელის გაშვერასა და თხოვნას ბოლოს მოუღებს, დამხმარებელი საზოგადოება რომ დაარსდებოდეს, ბოლოს მოუღებს იმ დამცირებასაც, რომელსაც უნდა გრძნობდეს თვით ღარიბი მოსწავლე.

* * *

ქ. ქუთაისში გუშინ წინ უნდა მომხდარიყო ქალაქის თავის არჩევანი, მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობის სურვილისამებრ გადაიდო. ნეტა ქუთაათურ მეკენჭესს!... აღმოსავლეთ საქართველოს დედა ქალაქში კი ეხლა იწყება მოძრაობა და მზადება. ემზადება არჩევნებისათვის ქალაქის გამგეობა; ემზადებიან, ალბად, ამომრჩევლებიც. გამგეობამ კიდეც შეიმუშავა საარჩევნო გეგმა. ჯერ უნდოდათ სამ საარჩევნო ნაწილად დაეყოთ ქალაქი და მთავრობამაც მოუწონა ეს აზრი. მაგრამ გამგეობამ და საბჭომ, ერთის მხრით, და მთავრობამ, მეორეს—სხვა და სხვა საპოლიციო ნაწილები დაასახელეს და ამიტომ გამგეობამ არჩია ერთბაშად მოახდინოს ხმოსნების არჩევანი. ჩვენ არ შევეხებით იმას, რამდენად მართალია საგუბერნიო საკრებულოსაგან უარყოფა საბჭოსაგან ქალაქის დანაწილებისა, ხოლო არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ როდესაც გაიძახიან „ერთა ბრძოლას ადგილი არ აქვსო საქალაქო საქმეებში და ჩვენ მას ყურადღებას არ ვაქცევთო“, იმავე დროს მათი ქცევა და საქმე სულ სხვას გვიჩვენებს; ეტყობათ, რომ დიდ ყურადღებასაც აქცევენ ამ ერთა ბრძოლას და სწორედ ამ ბრძოლისათვის ემზადებიან. ყველა ამაში საინტერესო კი ის არის, რომ მებრძოლი თითონ კი არ გაიძახის ზემომოყვანილ სიტყვებს, არამედ საყვირად სულ სხვა ჰყავს. მეტად სასაცილო სანახავი კი არის ეს სხვა, როდესაც ერთა ბრძოლას უარყოფს და დემოკრატობას ჩემულობს და ნამდვილად ის ერთ-ერთ მებრძოლ ერის წარმომადგენელთა ხელში საყვირად ქცეულა და დემოკრატიულს კი არა, არამედ უმდიდრესს და ჯიბე გასქელებულ ნაწილს ემსახურება.

Z.

პროვინცია

ბათუმი. მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ შესახებ ბათუმის საკვირაო სკოლისა. აქამდის ეს სკოლა მოთავსებული იყო მისის ხელმძღვანელის, პატიოცემული მდ. სიმონ თოთიბაძისაგან, აქაურ ქართულ სკოლაში. პირველს წელიწადს ერთობ ბევრი ხალხი მოაწყდა. მასწავლებელნიც, რომელთა რიცხვი საკმაო იყო, ამით წახალისებულნი, მუყაითად ეკიდებოდნენ საქმეს. მეორე წელიწადს კი სკოლაში მოსიარულეთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო, ისე რომ ერთ დროსმხოლოდ რამოდენიმე მოსწავლე თუ მოდიოდა ხოლმე. მიზეზი ამისა სწორედ ის იყო, რომ ის ხალხი, რომელსაც ეკვირება სკოლაში სიარული, ქალაქის განპირა ადგილებში სცხოვრობს და ამასთანავე უმეტეს ნაწილად ქარხნებში მოუშავეა. რასაკვირველია, მეტად ძნელი უნდა ეოფილიყო ამათთვის, სადამოს მუშაობის გათავების შემდეგ, ორი ვერსტის სიშორეზე წასვლა სკოლამდის, მეცადინეობა ერთ ორ საათს და მერე შუადამეზე უკან დაბრუნება, რათა დილა ადრიანად, ხუთ საათზედ, ფეხზედ ეოფილიყვნენ სამუშაოდ გამზადებული. ეს იყო მიზეზი, რომ სკოლა დროებით მოისპო სრულიად. მაგრამ მის მოკვირნახულეთ არ მოისვენეს და იმდენს ეცადნენ, რომ სკოლა სწორედ იმ ადგილას გადიტანეს, სადაც საჭირო იყო, სახელდობრ—ბარცხანაში. აქ მათ სადგომი დაუთმო როტშილდის ქარხნის მმართველმა. ამით შეძლება მიეცა აქ მცხოვრებ მუშა ხალხს გაუჭირვებლად ისწავლოს თავისუფალ დროს.

ამ დღეებში ვიყავი ამ სკოლაში და, მართალი გითხრათ, ჩემს სიხარულს მწუხარებაც ზედ დაერთო: ვხედავდი ამდენ პატარა-მუშაბავშვებს, მოზდილებსა და დიდებს, რომელთა საერთო რიცხვი ორასამდის იყო და რომელნიც გულმოდგინებით ეტანებოდნენ სწავლას, ვხედავდი და მწუხარებით ვამბობდი: რამდენი მინისტრულია სწავლა-განათლებას და რა მცირედ კმაყოფილდება მათი სამართლიანი და პატივსადები სურვილი და ნატვრა; რა ხალისი აქვთ მათ, მოეწიონ სინათლეს და სინათლე-კი ძნელათ იგნებს ამათკენ გზას!

თუმცა სადგომი მოზდილია, მაგრამ მოსწავლეთა სიმრავლის გამო საშინელი სიივწროვეა. ამასთანავე, სამწუხაროდ, მასწავლებელთა რიცხვიც ერთობ მცირეა. უსათუოდ საჭიროა ამ პატიოსან მშრომელთ სხვებიც დაეხმარონ. ამისათვის მხოლოდ სურვილია საჭირო, თორემ გამოსადეგი თითქმის ეოველი მცოდნე პირი იქნება; მით უფრო ხელმოსაკიდებელია ეგ საქმე ჩვენებისაგან, რომ სხვა უკეთესი სამუშაო, პატიოსანი და სასარგებლო და თან თვალსაჩინო, არ ვიცით. მივაქცევ ყურადღებას ბათუმელ ქართველებისას ამ საქმეს, რომელსაც დახმარება ეჭირვება.

ჭ.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მარტი.

ფლისსელბურგი. ნევა გაიწმინდა ყინულისაგან სათავედან ერთის ვერსტის მანძილზე.

ტამბოვი. მდინარეები ადიდდნენ; ანეულს კარგი პირი უჩანს.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ პლუმერმა პიტერსბურგის დაპყრობის დროს დაატყვევა 60 ბური და ხელში ჩაიგდო ერთი შვიდგირვანქიანი ზარბაზანი და აგრეთვე წაახდინა დიდ-ძალი სამხედრო მასალა და დინამიტი.

პარიზი. გაზეთ „ეკლერ“-ში დაბეჭდილია გრძელი წერილი რუსეთის უკანასკნელ ნოტის შესახებ მანჯურიის საქმეებისა გამო; წერილში ნათქვამია შემდეგი: „ეს ოფიციალური განცხადება მთელი ევროპისათვის თვალ-საჩინოდ ჰყოფს, თუ რამდენად უფრო სასარგებლოა ძლიერი და მტკიცე დიპლომატია ქვემომძრომ და მოუხეშავ პოლიტიკის ხრიკებთან შედარებით. ეს ნოტა პასუხია იმ ხრიკისა, რომელმაც სასაცილოდ გახადა ინგლისი მთელი ქვეყნიერობის წინაშე; ინგლისი ისე გაება აფრიკის ომში, რომ აზიაში მოქმედება თითონ აღარ შეუძლიან; მას ეგონა, რომ იაპონია გაუხდებოდა ერთგულ თანაშემწედ და რუსეთთან ომს გაჰბედავდა, მაგრამ ეს კომბინაცია სასაცილოდ დაირღვა და ისიც რუსეთის სასარგებლოდ, რადგანაც რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება რომ დამტკიცებულიყო, მაშინ რუსეთი დანარჩენ ქვეყნების წინააღმდეგ მოვალე იქნებოდა თავისი ჯარები ჩინეთიდან განსაზღვრულ ვადაზე გაეყვანა“.

ნიცცა. პრეზიდენტი დილით ნიცცადან წავიდა და 6 ს. 40 წამ. ვილაფრანკაში მივიდა, სადაც ლანესანი და ადმირალი მეგრე დაუხვდნენ. ადმირალი ბირილევი და რუსის ოფიცრები მიესალმნენ პრეზიდენტს. ადმირალმა ბირილევმა სთხოვა ლუბეს, რომ რუსის ადმირალის გემი ენახულა; ლუბე დასთანხმდა. ვიზიტის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბირილევს საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი ჩააბარა, ჩინეოვს—ოფიცრის ჯვარი და მიხაილოვს—კავალრისა. ბირალევმა პრეზიდენტს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, რის შემდეგ ლუბე გემ „სენ ლუი“-ზე გადავიდა და 7 ს. 50 წ. ტულონში წავიდა; როცა პრეზიდენტი რუსეთის გემებს წინ მიდიოდა, რუსის ზღვანები სალამს აძლევდნენ [illegible] ხოდნენ. საფრანგეთის ეოველი ეკა[illegible] პრეზიდენტს გაეცა, რუსეთის ესკადრ[illegible] ლაფრანკაში ერთს კვირას დარჩება.

ტულონი. სუბუქი გემების დივიზ[illegible] ნავთ-სადგური მიატოვა და 7 საათზე [illegible] ვიდა იმ ესკადრის მისაგებებლად, რომ[illegible] ლიც რესპუბლიკის პრეზიდენტს აცილ[illegible] კამარას ახლო დივიზია შეხვდა ესკადრ[illegible] და შეუერთდა მას, რის შემდეგაც სალ[illegible] ნიშნად 21 ზარბაზანი გაისროლეს. ზ[illegible] ძლიერი ჰღელავს.

პარიზი. ვალდეკ-რუსსო უკეთ ხდ[illegible] ბიულეტენები აღარ გამოვა.

კოპენჰაგენი. რუსეთის იმპერატორ[illegible] გემი „შტანდარტი“ 27 მარტს რეველ[illegible] წავიდა.

ვილაფრანკა. რუსეთის გემმა, „ხრაბრ[illegible] გაუსწრო რუსის ესკადრას და 5 საა[illegible] ნავთსადგურში შავიდა. გემ „ხრაბრი“[illegible] იმყოფებოდა ადმირალი ბირილევი. ამ გ[illegible] დან სალამის ნიშნად ზარბაზნები დაცალ[illegible] რა წამს ხმელეთზე გადავიდა, რუსის ად[illegible] რალი ოთხი ოფიცრით ეტლში ჩაჯდა [illegible] ნიცცაში წავიდა. როცა ეტლი დაიძრა, ხ[illegible] ხი ადმირალს სალამს აძლევდა. რუსეთ[illegible] ესკადრის ორი სხვა გემი „იმპერატო[illegible] ალექსანდრე II“ და „აბრეკი“ ნავთ-ს[illegible] გურში დადგნენ.

ნიცცა. ადმირალი ბირილევი და მ[illegible] აფიცრები მოვიდნენ აქ ვილლაფრანკ[illegible] შვიდ საათზე. მოსულნი იმ წამსვე ლუ[illegible] წარუდგინეს. პრეზიდენტთან იყო დელკას[illegible] ადმირალმა ბირილევმა ფრანგულად სთქ[illegible] მივიღე რწმუნება ჩემის იმპერატორისგ[illegible] გადავსცე სალამი საფრანგეთის პრეზიდ[illegible] ტსო და ამას მით უფრო მეტის სიხარული[illegible] აღასრულებს, რომ, მას ბირილევს, ნაბოძ[illegible] აქვს ხარისხი ბრესტის მოქალაქისა. ამიტ[illegible] საფრანგეთს იგი თითქმის თავის სამშობლ[illegible] სთვლის. ლუბემ მადლობა გადაუხადა [illegible] სთხოვა ადმირალს ბირილევს გადასცეს [illegible] მიერ რუსეთის იმპერატორს უგულითადეს [illegible] მადლობა. შემდეგ ლუბე და დელკას[illegible] კარგა ხანს ესაუბრნენ რუსის ოფიცრებ[illegible] რომლებიც ბოლოს ლუბემ სადილზე მ[illegible] იწვია. სადილი გამართული იყო პრეფე[illegible] ტურაში. სუფრის ბოლოს საფრანგეთ[illegible] პრეზიდენტმა დალია რუსეთის იმპერატო[illegible] რის, ხელმწიფე-დედოფლების, რუსეთის ს[illegible] ხელმწიფო გვარეულობისა და მთლად რ[illegible] სეთის სადღეგრძელო.

ნიცცა. აი ლუბეს სიტყვის შინაარს[illegible] „ადმირალო, გამოგგზავნათ-რა აქ საფრან[illegible] გეთის პრეზიდენტის დასახვედრად, მათ[illegible] უდიდებულესობამ რუსეთის იმპერატორ[illegible] ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავის[illegible] მტკიცე და მეგობრული გრძნობა მოკავ[illegible] რე სახელმწიფოსადმი. დარწმუნებული ვარ[illegible] რომ ყველა ფრანგების გრძნობას გამოხ[illegible] ტავ მით, რომ იმპერატორის, ხელმწიფ[illegible] დედოფლების, იმპერატორის გვარეულობის[illegible] დიდებულის რუსეთის იმპერიისა და რ[illegible] სეთის ფლოტის სადღეგრძელოს წარმო[illegible] თქვამ“.

ადმირალმა ბირილევმა უპასუხა: „ნებ[illegible] მიბოძეთ რესპუბლიკის პრეზიდენტისა [illegible] ჩემის მეორე სამშობლოს, საფრანგეთის[illegible] სადღეგრძელო წარმოვსთქვა“. სადილის შ[illegible] მდეგ რუსის ოფიცრები გულ-წრფელად ეს[illegible] უბრებოდნენ ფრანგ-ოფიცრებს; საღამო[illegible] 9 საათზე გამოემშვიდობნენ ლუბეს და ვი[illegible] ლაფრანკაში წავიდნენ.

ნიცცა. ლუბემ სადილს შემდეგ პრეფე[illegible] ქტურაში ბოლგარიის მთავარი მიიღო. შ[illegible] მდეგ პრეზიდენტთან დიდი მთავარი ბორ[illegible] ვლადიმერის ძე მოვიდა სანახავად. ლუბე[illegible] დარბაზობა გადაუხადა მთავარს ფერდინანდს [illegible] და დიდს მთავარს.

რედაქტორი ალ. ჭეონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозволено пензурою. Тифлисъ, 29 Марта 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა № 27.